

ზოგადი ელექტრონიკა
I სემესტრი. 2018-2019 წელი
შუალედური გამოცდის ნიმუში

Question 1

ნივთიერების ელექტროგამტარობას განსაზღვრავს:

Select one:

- a. ატომის ყველა ორბიტაზე მოძრავი ელექტრონები;
- b. ატომის გარე ორბიტებზე მოძრავი ელექტრონები.
- c. ატომის შუალედურ ორბიტებზე მოძრავი ელექტრონები;

Question 2

გამმართველი დიოდის მუშა ორგანოს წარმოადგენს:

Select one:

- a. მისი ანოდი და კათოდი;
- b. p- და n- ტიპის ნახევარგამტარული შრეები;
- c. p-n გადასასვლელი.

Question 3

სრულად მართვადი ტირისტორს ეწოდება ოროპერაციული, რადგან:

Select one:

- a. ანოდის მხრიდან შესაძლებელია მისი როგორც გაღება ისე ჩაკეტვა;
- b. მართვის ელექტროდით შესაძლებელია ასეთი ტირისტორის როგორც გაღება ისე ჩაკეტვა;
- c. მართვის ელექტროდით ასეთი ტირისტორი იღება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი იმპულსური სიგნალით.

Question 4

გამართული ძაბვის პულსაციის კოეფიციენტი გამოისახება:

Select one:

- a. გამართული ძაბვის ჰარმონიკათა ჯამური მოქმედი მნიშვნელობის შეფარდებით გამართული ძაბვის საშუალო მნიშვნელობასთან.
- b. გამართული ძაბვის საშუალო მნიშვნელობის შეფარდებით გამართული ძაბვის ძირითადი ჰარმონიკის ამპლიტუდასთან;
- c. გამართული ძაბვის ძირითადი ჰარმონიკის ამპლიტუდის შეფარდებით გამართული ძაბვის საშუალო მნიშვნელობასთან.

Question 5

საერთო ემიტერით ჩართვის შემთხვევაში ტრანზისტორული მაძლიერებელი სქემის:

Select one:

- a. შესავალი წრედია ემიტერის წრედი, ხოლო გამოსავალი -კოლექტორის წრედი;
- b. შესავალი წრედია ბაზის წრედი, ხოლო გამოსავალი -ემიტერის წრედი.
- c. შესავალი წრედია ბაზის წრედი, ხოლო გამოსავალი წრედია კოლექტორის წრედი;